დამტკიცებულია

რექტორის

01.04.2021წლის №22 ბრძანებით

ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

სტუდენტთა კონტინგენტის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

1. ეს წესი განსაზღვრავს ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის (შემდეგში - თსას) სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიასა და შესაბამის პროცედურულ საკითხებს, ასევე ადგენს სასწავლებელში აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესს;

2. წინამდებარე წესის მიზანია, ხელი შეუწყოს თსას-ში ხარისხიანი სასწავლო პროცესის განხორციელებასა და სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს ფორმირებას.

მუხლი 2. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას გასათვალისწინებელი კრიტერიუმები და გარემოებები:

1. სრულფასოვანი საგანმანათლებლო მომსახურების შეთავაზების მიზნით თსას სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის ეტაპზე აფასებს და ითვალისწინებს საკუთარ მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს;

2. გარდა რესურსებისა, საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადებისას გათვალისწინებულ იქნეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა შემოსვლისა და გადინების, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მაჩვენებელი, ასევე, სხვა სახის ინფორმაცია ან მოულოდნელი გარემოება.

მუხლი 3. აუცილებელი სივრცისა და ინვენტარის სტანდარტი:

1. თსას-ის სტუდენტთა მაქსიმალური ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება აუცილებელი სივრცის სტანდარტი. თსას-ის ინფრასტრუქტურა უნდა იძლეოდეს სტუდენტთათვის შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის შესაძლებლობას;

2. თსას-ის ინვენტარი, მათ შორის სტუდენტებისათვის განსაზღვრული მაგიდებისა და სკამების რაოდენობა უნდა იძლეოდეს ზღვრული ოდენობის სტუდენტებისათვის მომსახურების გაწევის შესაძლებლობას.

მუხლი 4. კომპიუტერული ტექნოლოგიების სტანდარტი

თსას-ში სტუდენტთათვის ხელმისაწვდომი კომპიუტერების რაოდენობა უნდა შეადგენდეს სულ მცირე 1 კომპიუტერს 25 სტუდენტზე.

მუხლი 5. საბიბლიოთეკო რესურსის სტანდარტი:

1. თსას-ის ბიბლიოთეკა, ელექტრონული რესურსების გათვალისწინებით, სრულად უნდა მოიცავდეს საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებით გათვალისწინებულ სავალდებულო ლიტერატურას.

2. ბიბლიოთეკის სივრცე, აღჭურვილობა და ინვენტარი უნდა შეესაბამებოდეს მათზე მოთხოვნას. აღნიშნული მონაცემები მოგროვდება და გაანალიზდება პერიოდულად, საჭიროების შესაბამისად განახლდება საბიბლიოთეკო ინვენტარი და წიგნადი ფონდი.

მუხლი 6. საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი მატერიალური რესურსი

თუ საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, აუცილებელია თსას-ში სპეციფიკური ბაზის არსებობა, სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას თსას ითვალისწინებს არსებულ ბაზებს და მათ გამტარუნარიანობას.

მუხლი 7. აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი:

1. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის დროს მხედველობაში მიიღება საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა და მათი თანაფარდობა;

2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირთა რაოდენობა განისაზღვრება შემდეგი წესით:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის ყოველ 10 სტუდენტზე გათვალისწინებული უნდა იყოს აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი სულ მცირე ერთი პირი;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების კრედიტების ჯამური რაოდენობის 51% (გამონაკლისის გარდა) უნდა განხორციელდეს თსას-ის აკადემიური პერსონალის მიერ;

3. უნივერსიტეტი აფასებს ამ მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან ფაქტობრივი ვითარების შესაბამისობას და იღებს გადაწყვეტილებას ადამიანური რესურსისა და საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ზღვრულ ოდენობასთან დაკავშირებით;

4. პერსონალის მოწვევის შესახებ თსას გადაწყვეტილებას იღებს მას შემდეგ, რაც შეივსება აკადემიური პერსონალის დატვირთვა ან, კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, არსებობს კვალიფიციური პირის მოწვევის აუცილებლობა. პერსონალის მოწვევის დროს მხედველობაში მიიღება ამ წესის მე-8 მუხლით დადგენილი თავისებურებები.

მუხლი 8. სილაბუსებით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების ორგანიზება და სტუდენტთა ჯგუფების ფორმირება:

1. სალექციო ფორმატით საკონტაქტო საათების დაგეგმვა და სტუდენტთა ჯგუფის რაოდენობა უნდა განისაზღვროს სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით;

2. პრაქტიკული და სასემინარო მუშაობისათვის რეკომენდებულია ჯგუფში ირიცხებოდეს საშუალოდ 30 სტუდენტი;

3. სასწავლო კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, თსას უფლებამოსილია, განსაზღვროს სწავლების მეთოდის შესაბამისი მოთხოვნები (მაგ., ლაბორატორიული მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა და სხვ.). ასეთ შემთხვევაში სტუდენტთა ოპტიმალური ოდენობის შესახებ ჩანაწერი ფორმდება შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში და მტკიცდება დადგენილი წესით.

მუხლი 9. სწავლებასთან დაკავშირებული პრაქტიკა

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კურსის განსახორციელებლად, სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მიზნით, სავალდებულოა, სათანადოდ შეფასდეს და ზედმიწევნით განისაზღვროს იმ დაწესებულების შესაძლებლობა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს პრაქტიკული მეცადინეობა.

მუხლი 10. საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მაჩვენებელი:

საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადებისას ადგილების რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

ა) საგანმანათლებლო პროგრამაზე აბიტურიენტთა მხრიდან მოთხოვნის მაჩვენებლის გაზრდის ან შემცირების ტენდენცია;

ბ) სტუდენტთა სტატუსის შეწყვეტის მაჩვენებელი;

გ) სტუდენტთა სტატუსის შეჩერების მაჩვენებელი.

მუხლი 11. საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრის წესი:

1. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან ერთად, თსას ამ წესის მე-6 - მე-8 მუხლებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის შესახებ;

2. საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ზღვრული ოდენობა შეიძლება შეიცვალოს საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებისთვის, დადგენილი წესის შესაბამისად;

3. საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის გამოცხადებისას, თსას ითვალისწინებს ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით

თსას-თვის დადგენილ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობასა და საკუთარ პრიორიტეტებს.

მუხლი 12. საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია:

1. საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა განისაზღვრება ამ წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“-„ბ“ ქვეპუნქტებისა და მე-8 მუხლის გათვალისწინებით, რაც წარმოადგენს აუცილებელ მინიმალურ კრიტერიუმს.

ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, დარგის/პროგრამის თავისებურების გათვალისწინებით, უფლებამოსილია, ამ წესისაგან განსხვავებულად განსაზღვროს პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა;

2. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია და ფაქტობრივი მონაცემები მიეთითება შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაში და მტკიცდება დადგენილი წესით.

მუხლი 13. რესურსებით უზრუნველყოფა

ამ წესით განსაზღვრული კრიტერიუმების მიუხედავად, შესაძლოა, გამოცხადდეს საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება იმაზე მეტი ოდენობით, ვიდრე არსებული გარემოებები იძლევა საშუალებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო წლის დაწყებამდე დაგეგმილია შესაბამისი გარემოებების ცვლილება ან/და არსებობს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის შესაბამისი ბრძანება.